

*ესეის შეფასების კრიტერიუმი
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)*

	სანიმუშო 10-12	კარგი 7-9	დამაკმაყოფი- ლებელი 4-6	არადამაკმაყო- ფილებელი 0-3
ძირითადი საკითხების იდენტიფიკაცია და კონტექსტუა- ლიზაცია	ავტორი ავლენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციას და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების სანიმუშო უნარს.	ავტორი ახდენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციას და ცდილობს მათ დაკავშირებას ფართო კონტექსტთან	ავტორი ცდილობს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციას, მაგრამ ყველა მათგანი არ არის გამოყოფილი. მათი ფართო კონტექსტთან დაკავშირების წარუმატებელი მცდელობა.	ავტორი ვერ ახდენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციასა და კონტექსტუალიზაციას .
ანალიზი, პოზიცია, შეფასება	სანიმუშო შედარებით ანალიზი. ავტორი ახდენს სტატიის ავტორების პოზიციების დიფერენციაციასა და შეფასებას, იმავდროულად გვთავაზობს რა მის კარგად დასაბუთებულ პოზიციას.	ავტორი ახდენს სტატიის ავტორების სათანადო დიფერენციაციასა და შედარებით ანალიზს, მაგრამ მისი პოზიცია არ არის ნათლად დასაბუთებული.	შედარებით ანალიზისა და სტატიების ავტორთა პოზიციების შეფასების მცდელობა, მაგრამ ძირითად არგუმენტებს აკლია დასაბუთება და ამიტომ ავტორის პოზიცია უფრო ბუნდოვანია	ავტორი არ ახდენს შედარებით ანალიზსა და სტატიების ავტორთა პოზიციების შეფასებას, მისი პოზიცია არ არის ჩამოყალიბებული.
მსჯელობის ლოგიკა, ნაშრომის სტრუქტურა	პარაგრაფები სანიმუშოდ განვითარებული და ლოგიკურია. ნაშრომი ორგანიზებულია სანიმუშოდ.	პარაგრაფები კარგადაა განვითარებული და ლოგიკურია, მაგრამ პერიოდულად აკლია საჭირო დეტალი. თუმცა ნაშრომი კარგად ორგანიზებულია.	პარაგრაფების განვითარების მცდელობა, მაგრამ ხშირად აკლია საჭირო დეტალი და ნაკლებ ლოგიკურია. ნაშრომის მთლიანი სტრუქტურის ორგანიზების მცდელობა.	პარაგრაფები არ არის განვითარებული. ნაშრომი სავსეა ინდივიდუალური, დაუკავშირებელი წინადადებებით. სტრუქტურულად არაორგანიზებულია და აკლია არაერთი ელემენტი.
საკუთარი არგუმენტების დასაბუთება, კონტრარგუმენტების გათვალისწინება	ავტორის არგუმენტები ძლიერია და დამაჯერებლად დასაბუთებული.	ავტორის არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია და კარგადაა დასაბუთებული.	ავტორის არგუმენტები დამაჯერებელია, მაგრამ აკლია დასაბუთება.	ავტორის არგუმენტები ნაკლებ დამაჯერებელია და არ არის დასაბუთებული.
სტილი და ენა	სანიმუშოდ აა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. მიღწეულია პროფესიული ტონი. გრამატიკა და პუნქტუაცია უშეცდომოა.	კარგადაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. ძირითადად მიღწეულია პროფესიული ტონი. უმნიშვნელო შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში.	მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ფორმალური წერილობითი ენა. აკლია პროფესიული ტონი. გარკვეული შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში.	არ არის გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. არ არის მიღწეული პროფესიული ტონი. ბევრი შეცდომა გრამატიკასა და პუნქტუაციაში.